**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 8 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 9 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 49 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 49

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაჭი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.



## 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

გამოდის იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი პრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 სათამამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში**:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანჯიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში**:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საბურჩაში**:—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში**:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში**:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი**: Тифлисъ, Редакція „Иверія“.



**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აპიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა უფასოდ აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილ საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**


გულითადს მადლობას მოვახსენებთ ყველა იმათ, ვინც წერილით თუ პირადად სამძიმარი შემოგვითვალა და გვითხრა ჩვენის ძვირფასის ასულის, ტფილისის გიმნაზიის შეგირდის **სონას** გარდაცვალების გამო და მით ჩვენი ღრმა მწუხარება გაიზიარა.

დავით იაკობის ძე და მარიამ ივანეს ასული

**ქართველიშვილნი**


**ქართველნი მკურნალნი:**

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ**. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.


**ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.**

„ივერიის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ „ივერიაში“ ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ,—დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 მან.).


**სადიდმარხვო სეზონი**

წარმ. № 2 ტელეფონი № 617.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 26 თებერვალს 1904 წ.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

### ს ა თ ა მ ა ს ო

კომ. 4 მოქ. და 6 სურ., გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას დებულობენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგალეთელისა, მ. მდივანი, ნებიერიძისა, ა. რონელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი მომატებულია

ერთი მესამედი შემოსავლისა მოხმარდება იმ თანხას, რომელიც გროვდება თავად-აზნაურთა მიერ დაჭრილ-დაავადმყოფებულ მეომართა ქსენონებისათვის საომარ ველზე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ამხანაგობის გამგე ვალ. გუნია

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ოთხშაბათს, 25 თებერვალს 1904 წ.**,

მისის იმპერატორობითის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა, ქ-ნის ბობროვა-პფეიფერისა და არტისტის კამიონსკის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

### ტრავიატა

ოპერა 4 მოქ., მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ბობროვა-პფეიფერისა, ჩიჟოვისა, ფიოდოროვისა; ბ-ნნი: ფიგნერი, ილიუშენკო, კამიონსკი, შმაკოვი, გავრილოვი, რაზუმნი.

ცეკვას მოაწყობს ბალეტმეისტერი ბ-ნი ვიტტიგი

რეჟისორი ა. დ. ბელსკი

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო.

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ის ბილეთები, რომელსაც 23 თებერვლის შტემპელი აკრავს, გამოდგება ოპერა „ტრავიატაზედაც“.

ხუთშაბათს, 26 თებერვალს, ბ-ნის კამიონსკისა, ქ-ნთ დუბროვსკაიას, სტეფანოვიჩისა და იანსას მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება «სამეფო პატარძალი», ოპერა 4 მოქ., მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა.

პარასკევს, 27 თებერვალს ბ-ნის მაკაროვის სადებიუტოდ, მ. უდ. სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა, ქნთ ბობროვა-პფეიფერისა და ტურჩანინოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება «რომეო და ჯულიეტა», ოპერა 4 მოქ., მუს. გუნოსი.

ფასები ქანდარასა და ბალკონს გარდა ყველგან მომატებულია.

ბილეთები იყიდება.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

## ექიმი

## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**მ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვების- და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ძ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. მ. სობოლევსკი**—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**მ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ძ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**მ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ძ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ახალი ნაბიჯი რუსეთის ჯარისა.—ორ მხარეს ბრძოლა.—იაპონიის ჯარის მოძრაობა.—ბოსფორის სიმაგრე.—წვრილი ამბავი.—ნაღმიანი ყუმბარა.

დღევანდელი დეპეშა ტიან-ძინიდგან იუწყება, რუსეთის რაზმმა სინმინტინი დაიჭირაო. ეს ამბავი, საფიქრებელია, დიდს მითქმა-მოთქმას გამოიწვევს, რადგან სინმინტინი ჩინეთის რკინის გზის სადგურია.

როდესაც რუსეთს ჩინეთისაგან პორტ-არტური იჯარით აუღია და რკინის გზის გაყვანა მოუნდომებია მანჯურიაზე რუსეთის ინჟენრებს მოულოდნელად მზად გაკეთებული რკინის გზის ლიანდაგი დახვედრიათ მდინარე ლიაო-ხეს მარჯვენა ნაპირს. ეს ლიანდაგი ინგლისელების გაკეთებული ყოფილა სინმინტინამდე. ეტყობა, მანჯურიისკენაც ნდომიათ ლიანდაგის გაგრძელება, მაგრამ გარემოება შეიცვალა. 1900 წელს, რუსეთმა რომ მანჯურიაში ქ. მუკდენი დაიჭირა, რუსეთის ჯარს პირველადვე სინმინტინის დაჭერაც მოუნდომებია და აუსრულებია კიდეც. შემდეგ ხომ მთლად დაიჭირა ინგლისის გაკეთებული რკინის გზის ლიანდაგი, რომელიც პეკინამდე მიდის. 26 სექტემბერს 1902 წელს, თანხმად რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულობისა, რომელიც იმ წლის 26 მარტს დამტკიცდა, ეს ლიანდაგი ჩინეთს დაუბრუნდა და იმავე დროს რუსის ჯარმა მდინარე ლიაო-ხეს მარჯვენა მხარე დასცალა. («ფ. გ.»).

—

გაზეთი «ან-რი» ამბობს, იაპონელები ისე თამამად მოქმედებენ, თითქო რუსეთის ფლოტი სრულიად არ არსებობდესო. დიდ-ძალი ჯარი, რომელიც იაპონელებმა გადასხეს კორეაში და სამ კეირაზედ მდინარე იალუსკენ წაიწევს, რუსეთის ჯარს აიძულებს, თავი მოიყაროს მდინარე ლიაო-ხესა და იალუს შუა. ამიტომ მანჯურიის ნაწილი, მდ. ლიაო-ხეს დასავლეთით, [illegible] დაეთმო. ამ ჯარის მთავარ-სარდალი იუან-ში-კაი იაპონელების მომხრეა. იაპონელებმა რომ მოინდომონ თავის ჯარის ჩაყენება ამ ადგილში, ჩინელები არ დაუშლიან. ამ შემთხვევაში რუსეთს ორთავ მხარეს დასჭირდება ბრძოლა მტრის მოსაგერებლად—მდინარე იალუსთან და ლიაო-ხესაკენ, რადგან იაპონელები ერთსა და იმავე დროს დაეცემიან. მაგრამ ამას იაპონელები არ ჩაიდენენ, რადგან მაშინ ჩინელებმაც მხარი უნდა მისცენ და ამით ნეიტრალიტეტი დაირღვევა, რაც რუსებისთვის სასურველიაო. (იქვე).

—

იაპონელებმა გადასწყვიტეს, სამის კვირის განმავლობაში პორტ-არტურს აღარ დაეცნენო,—ამბობს «დ. ქრ.».—ჯერ აპირობენ დალნისთან გადასხან ჯარი, რკინის გზა გააფუჭონ, პორტ-არტური ჩამოსჭრან და შეასუსტონ. შემდეგ გარემოება გამოაჩენს, როგორ იმოქმედონო.

იაპონელებმა სცადეს, ჯარი გადეყვანათ ცინ-ვან-დაოში, მაგრამ ჩინეთის მოხელეებმა ნება არ მისცეს, რადგან ამით ნეიტრალიტეტი დაირღვევაო.

—

ტოკიოდგან დეპეშით ატყობინებენ «დ. მ.»-ს, რომ კორეისა და იაპონიის წარმომადგენელნი შეთანხმებულან, საჩქაროდ რკინის გზა გაიყვანოს იაპონიამ სეულიდგან ი-ჩჟუში, თუმცა სხვა სახელმწიფოები ამის წინააღმდეგნი არიანო. მიმოსვლის წესს შეიმუშავებენ იაპონიისა და კორეის მოხელენი. სეულსა და პხიენიანს შორის რკინის გზის ლიანდაგი მალე დასრულდება და მატარებელთა მიმოსვლაც დაიწყებაო.

«სტანდარდს» ატყობინებენ ტოკიოდგან,—უცხოელ კორესპონდენტებს იაპონიის მთავრობამ ნება მისცა, რომ იაპონიის ჯარს გაჰყვნენ. ნება-რთვა მიიღეს 21 ინგლისელმა, 15 ამერიკელმა, 5 ფრანგმა და ორმა გერმანელმა.

პარიჟიდგან ბერლინს აცნობეს, რომ იაპონიის გვარდია და ჯარის მთავარი შტაბი ჩემულპოს გადასულა ო. («რ. ვ.»).

—

თუმცა რუსეთს თავისი ფლოტი ჰყავს შავს ზღვაზე, მაგრამ ბოსფორზე გავლა არ შეუძლიან ბერლინის ტრაქტატის ძალით, რომელმაც 1878 წელს დაავალა ოსმალეთს, თვალ-ყური ადევნოს ბოსფორის სრუტეს და უცხო სახელმწიფოების ფლოტი არ გაატაროს. ეს სრუტე ისე კარგად არის გამაგრებული და მოწყობილი გერმანიის ოფიცრებისა და ინჟენერების დახმარებით, რომ გავლა უცხო გემს არ შეუძლიან, თუ რომ ოსმალეთმა არ ინდომა. არ შეიძლება უცხო ფლოტმა, რაც უნდა ძლიერი იყოს, სცადოს ბოსფორზედ ძალ-მომრეობით გასვლა, რადგან სრუტე ნაღმიანის ყუმბარებით არის მოკირწყლული და აქეთ-იქიდგან ნაღმიანი გემები ყუმბარებს დაუშენენ. ესეც რომ არ იყოს, ინგლისი მაინც არ დასთანხმდება, რომ რუსეთის ფლოტმა გაიაროს ბოსფორზე და, კონვენციის ძალით, წინაალუდგება მას. («ნოვ.»).

—

«ნიუ-იორკ-ჰერალდი» სწერს: თუავინიცობაა ინგლისი ომში ჩაერია, მაშინ ბალტიის ზღვის კარი დაეკეტება, რადგან დანია, შვეცია და ნორვეგია დგანან იქ დარაჯად და კვალად ემზადებიან დასაცველად გერმანიის დახმარებით. («კ-კ.»).

—

ჩინეთის პროვინცია სე-ჩუანი აჯანყებულა; ჯარსა და «მოკრივეთა» შორის შეტაკება მწვავდება. ამ პროვინციის გამგე გარდაიცვალა და ჯარიც-კი ვერ დაწყანარებულა, არამც თუ ხალხი. ვიცე-კოროლს პეკინისკენ გაუგზავნია დიდძალი ჯარი, რომელიც ევროპიულად არის გაწრთვნილი. (იქვე).

ნაღმიანი ყუმბარა.

საოცარი რამ ყოფილა ნაღმიანი ყუმბარა! მრავალი ისეთი თვისება ჰქონია ამ მანქანას, რომ გონიერს არსებას უწოდებენ. აი, თქვენ განსაჯეთ.

წყალში კი შეუშვი და მტრის გემისაკენ უყავ პირი, მერე თქვენს ბრძანებას მტკიცედ აგისრულებსთ: თუ რომ ღრმად ჩააყურჰყუმელავეთ წყალში, თითონ ამოტივტივდება იმ ზომამდე, რომ მტრის გემს წყალ ქვეშ უკბინოს, სადაც ჯავშანი არ იფარავს.

თუ რომ მოძრაობა ნაკლები ანუ მოჭარბებული მიეცით, თვითონ გამოიანგა-[illegible] დაზედ მივა დანიშნულს ადგილას, როგორც თქვენ გინდოდათ.

თუ რომ წყალში ჩაშვების დროს ხელმა გიმტყუნათ და ყუმბარას სასურველი მიმართულება ვერ მიეცით, თვითონ დაადგება სწორე გზას, რომ მიზანს არ ასცდეს.

ვიდრე ყუმბარა თქვენს გემზეა, ფიქრი არ არის, როგორც გინდათ გადაატრიალეთ, ახეთქეთ, ისროლეთ, მაგრამ მტრის გემს მიეკარებს თუ არა, მაშინვე უნდა იფეთქოს და საცოდავობა დაატრიალოს.

შეგიძლიან მანძილი დაუნიშნოთ, ამ ადგილამდე მიდი და იმას იქით აღარ გასცდეო. ამასაც მტკიცედ შეასრულებს!

შეგიძლიანთ დაავალოთ, ამა და ამ ადგილს რომ მიხვალ, თავი აღარ დაიმალო, ამოცურდი, ან არა ძირს დაიყურყუმელავე ზღვაში გაჰქრი, რომ შენი ხსენება აღარ იყოს,—ამასაც აასრულებს.

თუ რომ გზაზე დაბრკოლება ნახა, ვთქვათ, მავთულები გადაეღობა ან გემის ჯავშანმა შეაჩერა, ყუმბარა თავს შეიკავებს და ვიდრე გემს არ მიეკარება, არ იფეთქებს.

მაშ სულიერი და გონიერი არ არის, ეს რაღაც ნაღმიანი ყუმბარაა? მაშ როგორ ასრულებს მრავალგვარ გონივრულ დავალებას?

ნაღმიანი ყუმბარა მოყვანილობით დიდს გილანის კიტრსა ჰგავს. სიგრძით 18 ფუტია და სიგანით—ერთ-ნახევარი ფუტი. წინ ლურსმანსავით აქვს წვეტი გამოყოფილი; უკან-კი ფრთები ასხია და წყალში ისე დაცურავს, როგორც თევზი. ლურსმნისეული წვეტი რომ მაგარს რასმე დაეჯახება, ფისტონს დაჰკრავს და ყუმბარას აფეთქებს.

ამისთანა უბედურება რომ თვით ნაღმიან გემზე არ მოხდეს, მომართვისა თუ წყალში ჩაშვების დროს, ლურსმანს წინ ბურღი აქვს, რომელიც მხოლოდ წყალში დატრიალდება და მოეშვება, კარგა მანძილს რომ გაივლის. ყუმბარა მხოლოდ მაშინ შეიქმნება საშიში. სწორედ ამ დროს მტრის გემსაც უახლოვდება.

ყუმბარას შიგნით სხვა-და-სხვა განყოფილება აქვს სხვა-და-სხვა მანქანებით, რომელთაც თავიანთი დანიშნულება აქვთ.

წინა ნაწილში დინამიტია ანუ პიროქსილინი, 5 -5½ ფუთი. (იაპონელების ყუმბარები მელინიტით იტენება, რომელიც პიროქსილინზე ძლიერია).

მეორე ნაწილში ისეთი მანქანაა, რომელიც ყუმბარას ან ამოატივტივებს, ან წყალში ჩამალავს, რა სიღრმეზედაც უნდათ. მსროლელმა უნდა იცოდეს მტრის გემის სიღრმე და ყუმბარა ისე დააყენოს, რომ უჯავშნო ადგილს მოხვდეს წყალში და გვერდი ანუ ძირი ააგლიჯოს.

[illegible] ვებულ-შეკუმშულ მძიმე ჰაერით. მარტო ეს ჰაერი სამს ფუთს იწონს და იმდენად მძლავრია, რომ მთელს მანქანებს ამუშავებს და ამოძრავებს.

მეოთხე განყოფილება ცარიელია და ყუმბარა ამის წყალობით არის ატივტივებული, თორემ დაიძირებოდა. აქვე არის მანქანა, რომელიც ყუმბარას მიზანს არ აცდენს იმ შემთხვევაშიაც-კი, სწორედ რომ არ ჩაუშვან წყალში, ოღონდ გემიდგან სწორედ-კი იყოს დამიზნებული. როგორც ბზრიალა, ღონივრად დატრიალებული, წვეთზე დადგება და არ გადაიქცევა, ვიდრე ტრიალს ძალა არ გამოელევა; ამ განყოფილების მანქანა დატრიალდება და მიზნისკენ მიაბრუნებს ყუმბარის წვეტს.

მეხუთე ნაწილში საათისებური მექანიზმია, რომლის წყალობითაც ყუმბარა დანიშნულ წამს საჭირო ადგილს გააჩერებს. ყუმბარის ბოლოს გარედგან ფრთები აქვს მიმაგრებული, რომელიც აცურებს და საჭეს მოვალეობას ასრულებს.

ნაღმიანი ყუმბარა 30 ფუთს იწონს. ამისთანა ყუმბარების სასროლად საგანგებო ზარბაზნებია გემებზე. გასროლა შეიძლება ან თოფის წამლით, ან არა და შეკუმშულის ჰაერით. უფრო უკანასკნელს ხმარობენ. ყუმბარის ზარბაზანი ჩვეულებრივ ზარბაზანზე ადვილი მოსახმარია და უფრო მსუბუქიცაა. არტილერიის ზარბაზანს 5,000 ფუთის სიმძიმე მაინც უნდა ჰქონდეს, რომ 20 ფუთიანი ყუმბარა გაისროლოს, ყუმბარის ზარბაზანი-კი 70 ფუთზე მეტი არ არის და 30 ფუთიან ყუმბარას ისვრის.

ამას გარდა, არტილერიის ზარბაზანმა ისეთის ძალით უნდა გაისროლოს ყუმბარა, რომ დანიშნულს ადგილს მიაღწიოს და მანძილიც კარგა უნდა ჰქონდეს გამოანგარიშებული, რომ მიზანს მოხვდეს; ნაღმიან ყუმბარას-კი ძლიერი ზარბაზანი არ უნდა, წყალში-კი ჩაუშვი და რიგიანად დაუმიზნე, დანარჩენი თვითონ იცის და მოძრაობის ძალა თან დააქვს.

მხოლოდ ეს-კი უნდა ითქვას, რომ ნაღმიანი გემი ბევრით პატარაა და დიდ ნაღმიან გემთან ბრძოლას ვერ შესძლებს. ამიტომ ნაღმიანი გემი უფრო ღამე და და ბურუსიან დღეს მოქმედებს, მიეპარება დიდს გემს, ესვრის ნაღმიან ყუმბარას და მიიმალება.

არც ისე შორს მიდის ნაღმიანი ყუმბარა, როგორც დიდ ზარბაზნების ნასროლი ტყვია-ყუმბარა. ნაღმიან ყუმბარას შეუძლიან გაირბინოს მხოლოდ ორ ვერსამდე, შესაძლოა სისწრაფე მოემატოს და მოაკლდეს, ერთს წუთში ერთის ვერსის მანძილს გაირბენს.

—

ძახჰაიდგან ლონდონის გაზეთებს აცნობენ, ამერიკელმა ჟურნალისტებმა საკუთარი გემი დაიქირავეს და იმითი იმოგზაურებენ პორტ-არტურის გარშემო.

კორეაში სიმშვიდეა. იაპონელი ჯარის კაცები ყველაფერს ფულითა ყიდულობენ იმ ფასად, როგორც საქონელი თუ სანოვაგე ბაზარში ფასობსო.

ჩინეთის მთავრობა თავისს ჯარს აძლიერებს ჩრდილოეთისაკენ და გამუდმებითა ჰგზავნის ჯარსა და ფულს; არსენალები თოფის წამლის საწყობები სწრაფად მუშაობს. ხმელეთის ჯარის მობილიზაცია ვიცე-კოროლს აქვს მინდობილი. გემების მიმოსვლას არა აბრკოლებს-რა. («ნოვოსტი»).

—

## ტფილისი

*** ავადმყოფობის გამო განთავისუფლებულ იქმნა თანამდებობიდგან განჯის ქალაქის მოურავი კოგნოვიცკი. მოკლე ხანში ახალს მოურავს აირჩევენ.

*** მომავალ კვირის დამლევს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი პეტერბურგს მიდის რუსეთის თავად აზნაურთა წინამძღოლების კრებაზედ დასასწრებლად. ეს კრება შორეულ-აღმოსავლეთის ომიანობამ გამოიწვია.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას დიდი ვალი დაედო საიუბილეო გამოფენის გამართვის დროს. დღემდე ყველა მოვალეები გაისტუმრა საზოგადოებამ, გარდა ქალაქისა, რომელიც წყალს აძლევდა.

*** მკითხველთ უწყიან, რომ დიდუბის ქუჩას სიგრძე უნდა მოუმატონ. ეს საქმე აქამდე იმიტომ არის შეჩერებული, რომ ის ადგილი, სადაც ქუჩა უნდა გაიყვანონ, ქ-ნს ლორთქიფანიძისას უჭირავს, რომელიც თხოულობს, გამოისყიდეთ ჩემგან ეს ადგილიო. ამ დღეებში საგანგებო კომისიამ დაათვალიერა ეს ადგილი და ქალაქის საკუთრებად სცნო. საჩივარს ქ-ნ ლორთქიფანიძის წინააღმდეგ ჩქარა აღძრავენ.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს სთხოვოს ქალაქს, რომ ვალი აპატიოს. ვალი 2,605 მანეთს უდრის.

*** 22 თებერვალს ტფილისის საკომერციო სასწავლებელში, პოეტ დრამატურგის გრიბოედოვის ხსენების პატივსაცემლად, სალიტერატურო და სამუსიკო სალამო იქმნა გამართული.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ამას იქით აღარ გადახდეს ქალაქის პოლიციის შესანახი ფული.

*** წელს ამიერ-კავკასიის საპოლიციო დარაჯთა შესანახად გადადებულია 2.361,460 მანეთი.

*** მომავალ სამშაბათს ექიმი სობოლევსკი ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების წევრთ წაუკითხავს ლექციას „იაპონია“.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრად ჰქონდა ავჭალის ცხენის რკინის გზა გამოესყიდნა, მაგრამ საქმეს ჯერ-ჯერობით თავი დაანება, რადგან გამოსყიდვა მეტად ძვირი ჯდება.

*** 28 თებერვალს დანიშნულია ტფილისის „კრუჟოკ“-ის წევრთა კრება, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის ფულის გადადების შესახებ.

*** მოკლე ხანში ტფილისის ქალაქის გამგეობა ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს სამმართველოს წინაშე შუამდგომლობას აღძრავს იმის შესახებ, რომ ტელეფონის წარმოება ქალაქს გადაეცეს.

*** ტფილისის რკინის გზის სასწავლებლის მოსწავლეებად ნამყოფთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებას წარსულის წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 1,230 მან., ხარჯი—500-მდე.

*** როგორც ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს ცნობებიდგანა სჩანს, ტფილისში ამ წელს ბევრს გაუყვანია ტელეფონი თავისს სახლში. წინა წლებში ტელეფონს ძალიან მცირე აბონენტი ჰყავდა.

*** ინჟენერნი ხატისოვი და ბრაილოვსკი ამხანაგობას ადგენენ. ამხანაგობის შესადგენად საჭიროა შეძლებულნი წევრნი. რამდენიმე კაცი წევრად უკვე ჩაწერილა, ამხანაგობა სოლოლაკში გვირაბს გაიყვანს.

*** ჩვენს დალოცვილ ქალაქს ათასი პატრონი და მეთვალყურე ჰყავს, მაგრამ ჩვენებურ თაღლითსა და უსინდისო ვაჭრობას ბოლო არაფრით მოეღო. ავიღოთ თუნდა ყოვლად საჭირო ღვთისნობაზე—ხორცი და პური. უპრალოდ სცდებიან ჩვენი ქალაქის მამები, უპრალოდ ხარჯავენ ქაღალდსა და მელანთან აგენტების ჯამაგირებს მაშინ, როდესაც ყველა თავის გამორჩენას უყურებს და საცოდავ მდაბიო ხალხს კუდამდის ტყავს სძვრებს. დღეს პურისა და ხორცის ნახვა ყველამ იცის, მაგრამ აბა მიბძანდით და ხორცში, თუ გინდა მესამე ხარისხისაში, 12 კაპეიკი შეაძლიეთ, თუ უშვერის სიტყვებით არ შეგამკონ და მთელი საუბრის ძაღლები თავზედ არ მოგახვიონ. ჩემა ქეიფი ასეა, გინდოდეს—წაიღე, არა და—მიბძანდით. ამათი უზრდელობა და თავ-ქეიფობა ყველამ იცის, მაგრამ მაგარი ის არის, რომ დღეს ყველა მეპურე თავის უსტაბაშითურთ (უამისოდ ვერას გაჰბედავდნენ) უწესოდ იქცევა: რომელ ხურსეც ფუთს 1 მ. 20 კაპ. ვაჭრულობდით, 1 მ. 40 კაპ. ჰყიდიან და რომელსაც 1 მ. 30—კ. 1 მ. 50 კაპ. ასე უნებურად, ასე თავნებად საიდან მოუმატეს, როდესაც გაზეთებში არაფერი თქმულა და არა დაწერილა-რა. მაგრამ განა გიკვირთ ჩვენის ქალაქის მამებისაგან ამისთანაები და მრავალი სხვა? ნუთუ ამ დალოცვილებს მანჯურიაში ჰგონიათ თავი, თუმცა, ვგონებ, ვერც იქ წაიერის ასე უსირცხვილოდ დაკამს კაცი.

## ჩვენებური ამბები

კაიშაური. (მთიულეთი). ჩვენა სოფელი შარშან დაათვალიერა სამხედრო ზედამხედველ-

---

# ფელეტონი

## ცოტა რამ კორეაზე*).

თუ ადამიანის ცხოვრების პირველ ხანაში სიმართლეს ძალა სჭრიდა და, ვინც ღონიერი იყო, იგი მართალიც იყო, დღეს განვითარების ამ საფეხურს ისევე ვამჩნევთ სახელმწიფოთა და ერთა ცხოვრებაში. ხშირად ერთი ერი მეორეს სჩაგრავს და მისის სისხლით იკვებება. ინგლისი, მაგალითად, ინდოეთზედ ძლიერია და თითქოს ამიტომ ეს უზარმაზარი ქვეყანა ვალდებულია თავისი ბატონი ჰკვებოს და თვით მშიერმა სული ამოირთოს. აგრეთვე უძლურ სახელმწიფოს ბედს ხშირად ძლიერი განაგებს და სურს თუ არა, პატარა დიდის ხმლის კანონს უნდა დაემორჩილოს.

ერთის სიტყვით, უდიერი ბრძოლა არსებობისათვის თუ ცალკე ადამიანთა შორის განათლება-კულტურამ შეამცირა და მოსპო, ერთა შორის ჯერ ისევ ძალაშია.

ამის დამტკიცებას ვხედავთ, სხვათა შორის, კორეის დღევანდელს ისტორიაში. ეს პატარა ნახევარ-კუნძული რუსეთისა და იაპონიის კინკლაობის საგნად გამხდარა და ვისი ხმალიც გაიმარჯვებს, კორეის ბედიც იმას უნდა ჩაუვარდეს ხელში. ამ საცილობელმა ქვეყანამ ეს ორი დიდი სახელმწიფო ლამის ერთმანეთს შეაჯახოს **) და მეოცე საუკუნის დასაწყისი სისხლის ღვრით აღნიშნოს.

და მერე ვის შეუძლიან დაბეჯითებით სთქვას, რომ ამ ომში ევროპა და ამერიკა არ ჩაერევა და მოხუცი აზია ისევე ომის ველად არ გარდაიქცევა? ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ჩინეთს მუშტრის თვალით უყურებენ და მისი განაწილება არა ერთს სახელმწიფოს კაცს მოსვლია აზრად.

აღმოსავლეთის საქმეები-კი მჭიდროდ არის ერთმანეთში გადაკვანძული: მოკლე დროში ჩინეთის საქმემ მანჯურიის საქმე დაჰბადა და ამან კიდევ კორეისა. ამის გამო კორეას დღეს საერთო მნიშვნელობა ეძლევა და მისი მოკლედ გაცნობა არც ჩვენის საზოგადოებისათვის იქნება ინტერესს მოკლებული.

კორეა პატარა ნახევარ-კუნძულია; მისს ნაპირებსაც ჩინეთისა და იაპონიის ზღვა არტყია. ჩრდილოეთიდგან დაწყებული და სამხრეთისაკენ გაგრძელებული მთები ამ ნახევარ-კუნძულს შუაზე ჰყოფს და ბუნებით ასხვაფერებს; რამდენადაც აღმოსავლეთის ნაპირები ნაკლებად არის ზღვით შეჭრილ-შესერილი, იმდენად დასავლეთი მხარე მდიდარია ნავთ-სადგურებით, რომელიც ზამთრობით სრულიად არ იყინება.

კორეა ხშირის ტყეებით არის მოფენილი და მთა-გორიანი ადგილ-მდებარეობა აქვს; მისი მდინარეები მიმოსვლისთვის უვარგისია და ამიტომ კორეის ოროგრაფია ვერ აერთიანებს მხარეს.

ჰავა კორეაში ორგვარია: თუ ჩრდილოეთი მოსაზღვრე მანჯურიას ჰგავს და ცივია, სამხრეთი იაპონიის ბუნებას უახლოვდება და თბილია, სიმშრალეს მოკლებული. ფლორა და ფაუნაც სხვა-და-სხვაობს. მცენარეულობათაგან ბევრი მოჰყავთ ბრინჯი და ღომი, რომელიც მცხოვრებთა უმთავრესი საზრდოა. ხარობს აგრეთვე სიმინდი და ყურძენი, თუმცა კორეელებმა ღვინის დაყენება არ იციან. მდიდარია მხარე აგრეთვე ოქრო-ვერცხლით, სპილენძითა და სხ...

კორეის ბუნებრივს სიმდიდრეს და სილამაზეს მგზავრი ხშირად აღტაცებაში მოჰყავს. იგი რამდენადმე აპენინის ნახევარკუნძულს წააგავს, რის გამოც ევროპიელებმა აზიის იტალია უწოდეს.

მცხოვრებთა რიცხვი დაახლოვებით 10—12 მილიონს უდრის... ჩამომავლობით რომელს მოდგმას ეკუთვნიან, ჯერ კიდევ სარწმუნოდ არაა გამოკვლეული. საშუალო ტანისა, ჟანგის ფერის, პატარა და გაგრძელებულის თვალებით, გაჭყლეტილ ცხვირით და ტლანქ ძვლებ-გამოგდებულის პირისახით—კორეელი დიდად წააგავს ჩინელსა და იაპონელს. საერთოდ-კი უნდა შევნიშნოთ, რომ კორეა, როგორც გეოგრაფიულად, ისე ეტნოგრაფიულად და კულტურულად ჯერ კიდევ მცირედაა შესწავლილი და ამიტომ მის შესახებ სხვა-და-სხვა აზრი სუფევს.

კორეის გეოგრაფიულმა მდებარეობამ იაპონიასა და ჩინეთს შუა მტკიცე ბეჭედი დაასვა მისს ისტორიასა და კულტურას. 1895 წლამდე, როდესაც კორეა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქმნა აღიარებული, იაპონია ხმლით ედავებოდა ჩინეთს ამ პატარა ნახევარ-კუნძულის გამო. ჩინეთის და იაპონიის ჯარები რიგ-რიგობით იკლებდნენ კორეას და ხან ერთის და ხან მეორის მოხარკედ ითვლებოდა. ბოლოს ხანს კიდევ იგი მთელი ორი საუკუნე ნომინალურად ორივ ამ სახელმწიფოს ემორჩილებოდა, თუმცა ნამდვილად-კი თავისუფალი იყო.

როგორც უფრო მშვიდობის მოყვარე და კულტურულმა ქვეყანამ, ჩინეთმა გაცილებით მეტი გავლენა და სიმპატია მოიპოვა კორეელთა შორის, ვიდრე დღევანდლამდე ველურმა იაპონიამ. კორეის მეფეებს ჩინეთის გვირგვინოსნისაგან ინვესტიტურის მიღება პატივისცემად მიაჩნდათ და ყველაფერში ჩინეთის წაბაძვას სცდილობდნენ. ჩინეთის იმპერატორის პატივისცემა იქნობამდე მიდიოდა, რომ მისის დაბადების დღეს და ახალწელიწადს კორეის მბრძანებელი სახალხოდ ძირს ემხობოდა და ამ დროს პირი პეკინისკენ ჰქონდა მიქცეული; დღესაც კორეის მეფე, «ცის ძისა» მსგავსად, ყოველ წელს აღნიშნულს მინდორზე გუთნით კვალს ავლებს და დედოფალი კიდევ აბრეშუმის ჭიას აშენებს სასახლეში, ვით ჩინეთის დედოფალიც.

აღმოსავლეთის ბუმბერაზს, განვითარებულის ცივილიზაციის და მოქალაქეობრივის ცხოვრების პატრონს - ჩინეთს, რასაკვირველია, პოლიტიკურთან ერთად სულიერადაც უნდა დაემორჩილებინა პატარა და ველური კორეა: კორეაში გავრცელდა ჩინეთის მწიგნობრობა, კონფუციის მოძღვრება და მოქალაქეობრივი წესწყობილება. კორეელთა ანბანის მაგივრობას დღევანდლამდე—ჩინური იეროგლიფები სწევს; ლიტერატურაც თუ არის რამე, სრულიად ჩინური, გარდა უბრალო ორიგინალურ ისტორიულ თხზულებათა; თვით ენაც, ზოგიერთების აზრით, ჩინურის სიტყვებისაგანვე შესდგება კორეულის დაბოლოვებით. კონფუციის მოძღვრება სახელმწიფო სარწმუნოებად ითვლება და მცხოვრებთა უმრავლესობა მისი მიმდევარია. წინაპართა პატივისცემა და მათთვის მსხვერპლის შეწირვა აქ არა ნაკლებაა გავრცელებული, ვიდრე თვით ჩინეთში. თავის გარდაცვალებულს კორეელი მთელი სამი წელიწადი ჰგლოვობს და ამ დროს განმავლობაში თითქმის სრულიად შორდება საზოგადოებას და თითქოს ცოცხალივე იმარხება. არავითარ სამხიარულო დღესასწაულში მონაწილეობას არ იღებს, სრულს უსაქმობას ეძლევა და მტკიცე მარხულობაში ატარებს დროს. ქურუმად კორეაშიაც იმპერატორი ითვლება, ქალაქებსა და დაბებში-კი მისს მაგივრობას სახელმწიფო მოხელეები ასრულებენ. დიდ ქალაქებში ყველგან კონფუციის სახელობაზე საყდრები და ეკლესიებია აშენებული. მაგრამ კონფუციის მოძღვრება გარეგნად გავრცელდა კორეაში და თვით ხალხის გულში ნიადაგი ვერ იპოვა. მისი იდეა—ადამიანთა შორის ურთიერთობის განკარგება, გაღმობიერება ზნეობრივის თვით-აღზრდითა და სათნოების განვითარებით—გაუნათლებელ კორეელთათვის უცხო და შეუგნებელი დარჩა...

მეორე სარწმუნოება—ბუდდიზმი—დღეს თითქმის სრულიად მივიწყებულია და თი-

*) ამ წერილისთვის ვსარგებლობდი შემდეგის მასალით: Э. Реклю «Корея» (Земля и Люди“, кн. IV); П. Ю. Шмидтъ: „Корея и Корейцы“ („Русское Богатство“) მარშანდელი ნომრის წიგნი და სხვა-და-სხვა აქაურს გაზეთებში გაბნეულის სტატიებით. ზოგ-ზოგი ალაგი პირდაპირ მაქვს ნათარგმნი.

ვ. დ.

**) დაწერილია 25 იანვარს, ერთის დღის წინად ომის დაწყებამდე; წერილს თითქმის ერთი თვე დაჰგვიანებია გზაში. ავტორი გვწერს:

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ეს სტატია დაამბეჭდოთ თქვენს გაზეთში ბურების ინგლისელებთან ომის დროს მათს ცხოვრებას რამდენიმე წერილი უძღვენით. დღეს კორეისმიერ გამოწვეულს დავიდარაბას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ცხოვრებისათვის რადგანაც დღე-დღეზედ ომი იფეთქებს ამ საგნის გამო. ამიტომ, მგონი უადაგო არ იქნება ამისი დასტამბვა თქვენს პატივცემულს გაზეთში.

ვ. ლიაძე.

ქ. ვლადივოსტოკი.
25 იანვარი.

მა, ბლადოჩინმა ნიკ. კანდელაკმა. მოძღვარმა სოფლელნი შეჰკრიბა და ურჩია, სკოლა დაარსეთო. ამასთანავე აუხსნა სკოლის მნიშვნელობა. ხალხი სიამოვნებით დასთანხმდა ამ წინადადებას. სკოლას შენობა უკვე აქვს და 16 თებერვალს დიდის ამბით აკურთხეს. კურთხევას სოფლელნი ბლომად დაესწრნენ. აქაურმა მღვდელმა შიო კაიშაურმა კურთხევის შემდეგ წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა, რომელითაც დიდად ნასიამოვნები დარჩა დამსწრე ხალხი. ამ სკოლას უკვე დაუნიშნეს მასწავლებლად გიორგი მალანია. ვისურვებთ, სკოლის საქმე კარგად წასულიყოს.

გორელი.

—

**კახეთი.** ეს ორი-სამი წელიწადია, რაც კახეთიდან სულ შემაძრწუნებელის შინაარსის ამბავს იწერებიან; ზოგჯერ ისეთი რამ გვესმის, რომ გვგონია, ეს რა ამბავია, ეს რა ღვთის წყრომაო.

რაც ამ ორ-სამ წელიწადში კახეთში ქურდობა-ავაზაკობა, კაცის კვლა, თავ-დასხმა და ეკკლესიების გაძარცვა მოხდა, მთელს ერთს საუკუნეში არ მომხდარა. ყოველ დღე ეს-და გესმის: ესა და ეს ეკკლესია გატეხესო, ამა და ამ მღვდელს ესროლეს თოფი, ამა და ამ კაცს მოჰპარეს ცხენები, ესა და ეს სახლი გაძარცვეს, ეს გაასწორეს, ის მოჰკლეს და სხვა.

ასე გახშირებულმა ქურდობამ და ათასგვარმა ბოროტ-განზრახვამ რუსულს გაზეთებშიაც გამოიწვია მითქმა-მოთქმა, ვითომ კახეთი და, საზოგადოდ, კავკასია ძველადგანვე ქურდობის ბუდე, იყოს კავკასიელს ქურდობა-ავაზაკობა ძველადგანვე ძვალ-რბილში ჰქონდეთ გამჯდარიო, მაგრამ ამისთანა აზრი და თქმულება ჩვენზე შემცდარია. ყველამ იცის მიზეზი ამ ავკაცობის, მაგრამ დასახელება არ უნდათ.

მხოლოდ რამდენიმე სოფელი გადაურჩა ქურდობას. ერთი ამგვარი სოფელთაგანია ძველი-გავაზიც. მხოლოდ ამ სოფელში არა ხდებოდა ქურდობა, აქ ხალხი დამშვიდებული იყო და გულ-არხეინად შრომობდა. თითქმის ყველას უკვირდა, ასეთი სიმშვიდე რად არის ძველ-გავაზშიო. გავიდა დრო და ხანი, მაინც სიმშვიდე იყო, მაგრამ ამ სოფელსაც მიაგნო ავაზაკებმა. წარსულ იანვრის ცხრას, ღამით, ბოროტ-განმზრახველნი შეუცვივდნენ აქაურს მოვაჭრე სომეხს სახლში და დაანელეს მთელი მისი საცხოვრებელი სახსებელი.

აქაურებს კარ-ფანჯრები ჩაუკეტავი ჰქონდათ ხოლმე, რადგანაც ქურდობას აქ ადგილი არა ჰქონდა. ამ სომეხსაც კარები და ფანჯრები სულ უბრალოდ ჰქონიყო.

მეორე დღეს, 10 იანვარს, ჩამოვიდა აქ ყვარლის ნაწილის ბოქაული თავისის დარაჯებით და შეუდგა ქურდების კვალის ძებნას. იმ დღიდგანვე საყარაულოდ გამოიყვანეს 80 კაცამდე, დაატუსაღეს 60 კაცი, ვინც-კი წინად შენიშნული იყო, ერთის სიტყვით სასტიკად შეუდგა საქმეს ბოქაული. მაგრამ ქურდები მაინც ვერ იპოვეს. მხოლოდ ერთი ლეკი იცნო გაძარცვულის სომხის შვილმა. ლეკი შეიპყრეს და თელავის სატუსაღოშიაც გაჰგზავნეს, მაგრამ ის არ გამოტყდა და გაანთავისუფლეს.

ერთის სიტყვით, მთელი კახეთი დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი ქურდობა-ავაზაკობისაგან.

კოტე ალაზნისპირელი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ნიკოლოზ I მა სიკვდილის ჟამს უთხრა რუსეთის ტახტის მემკვიდრეს, მეფე-განმათავისუფლებელს: «გაბარებ კომანდას, თუმცა არა ისეთს რიგზე მყოფს, როგორც მინდოდა. ბევრი შრომა და ზრუნვა გრჩება ჩემს შემდეგ»-ო.

მართლაც ბევრი საზრუნავი დარჩა ალექსანდრე II-სათ,—ამბობს «პეტერბ. ვედ.»-ი: ყირიმის წაგებულმა ომმა თვალნათლად დაამტკიცა, რომ მარტოოდენ ეროვნული თავ-გამოდება და ტრაბახი: „შაპკამი ზაკიდაემ»—საკმაო არ არის სახელმწიფოს ძლიერებისათვის, რომ მხოლოდ ის ქვეყანაა ნამდვილად ძლიერი, სადაც მტკიცედ და გარკვევით არის განსაზღვრული უფლება და მოვალეობა ადამიანისა და სადაც ადამიანს შეუძლიან თავისუფლად განვითარება.

რუსეთის მაშინდელმა დამარცხებამ გამოარკვია რუსეთის ცხოვრების ყოველგვარი მოუწყობლობა და დაჰბადა საჭიროება დიდის რეფორმებისა; ხოლო ამისათვის აუცილებელი იყო ბატონ-ყმობის მოსპობა.

ხელმწიფემ მტკიცედ გადასწყვიტა ბოლო მოეღო ბატონ-ყმობისათვის. უკეთესმა კაცებმა, რომელთა სახელებიც ისტორიაში ჩაიწერა, მხარი მისცეს იმპერატორს და საქმე გაიჩარხა. ველარა გააწყეს-რა სიბნელის მოყვარულებმა. ბევრი იძახეს, რომ გლეხკაცი ნადირია და განთავისუფლებული ნადირი მილეწ-მოლეწავს ყველაფერსაო, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ხალხი, გლეხკაცობა ბობოქრობდა, თხოულობდა თავისუფლებასა და ბატონ-ყმობის გადაგდებას, ყველას დაუმტკიცა, რაოდენ უფრო საშიში იქმნებოდა, თავისუფლება მოვლენოდა ქვეყანას «ქვევიდან» და არა «ზევიდან». და აი, 42 წლის წინად, 19 თებერვალს იმპერატორმა ერთის კალმის მოსმით მიანიჭა თავისუფლება 23 მილიონ გლეხკაცობას.

ბატონ-ყმობის გადავარდნას მოჰყვა ბევრგვარი სხვა რეფორმაც: სასამართლოსი, უნივერსიტეტისა, ცენზურისა. შემოღებულ იქმნა ქალაქისა და ერობის თვით-მმართველობა, ცოტად თუ ბევრად გაერთიანდა უფლების მხრივ წოდებანი, სამხედრო ბეგარა შეიქმნა საყოველთაო სავალდებულოდ და სხვ.

ყოველივე ეს რეფორმა შემოიღო ალექსანდრე II-მ იმიტომ, რომ კარგად ესმოდა, რა დანიშნულება აქვს ძლიერს მთავრობას. ხოლო ძლიერის მთავრობის როლი და დანიშნულება, როგორც ამბობს რუსეთის ისტორიკოსი ს. სოლოვიოვი, აი როგორ ესმოდათ მაშინ უკეთეს კაცებს:

«ნამდვილს, ჭეშმარიტს მთავრობას არ უნდა, რომ ერი ერთი რამ უძრავი, ყრუ, დრკუ და ბრჟგუ იყოს. მთავრობა იწვევს ხალხის უკეთესს, გონებრივ ძალ-ღონით სავსე კაცებს. მთავრობას როდი ეშინიან ამ ღონიერ კაცებისა, პირ-იქით, იახლოვებს და იკავშირებს მტკიცედ. სუსტს მთავრობას არ შეუძლიან თავისუფლების გამაძლიერებელ დაწესებულებათა შემოღება გულ-დამშვიდებით. იმისთვის მუდამ საშიში იქნება ერის არეულობა, ამბოხი, იმიტომ რომ, როცა გაანთავისუფლებ დაბმულ ძალას, უნდა სასიკეთოდაც იქმნას იგი მიმართული. სუსტი მთავრობა ამას ვერ შესძლებს. ძლიერს მთავრობას-კი მუდამ შეუძლიან წარბ-შეუხრელად და თავისთავის ხრულიად უვნებლად ლიბერალობა. მხოლოდ გონებით ბეცნი ამტკიცებენ, რომ არა-ლიბერალური მთავრობა ძლიერიაო და იმიტომ უარჰყოფს თავისუფალ დაწესებულებათა შემოღებასა. ჩაგვრა და სულის ამოხდა ადვილია. ამისათვის არავითარი განსაკუთრებული ძალა არ არის საჭირო».

სრული სიმართლეაო,—ამბობს გაზეთი,—და ბოლოს ასე ასკვნის:

რაც გაკეთდა რუსეთში, ყოვლად საჭირო იყო, აუცილებელი. მაგრამ დღეს კიდევ უფრო წინ უნდა წავიდეთ თავის უფლების გზაზედ, განვავითაროთ, განვაფართოვოთ ყოველივე ის, რის პირველი ნაბიჯიც იყო გლეხთა განთავისუფლება. რომ ეს საჭიროა, უკვე შეიგნო დღეს ყველამ. მაშასადამე, ასრულება, განხორციელებაც დიდხანს აღარ გვალოდინებს. საჭიროა მხოლოდ, რომ საზოგადოებამ მოახერხოს და ხელი ჩასჭიდოს ომის კავშირით ასე მოულოდნელად გაჩენილს ერთიანობას, ერთსულობა მთავრობისა, ერისა და საზოგადოებისა.

## თეატრი და ხელოვნება

### ქართული თეატრი.

**ჭიათურა.** 22 თებერვალს, ჭიათურის სათეატრო დარბაზში, ბ-ნ დ. ჩარკვიანისა და ქ-ნ მ. მღივანის მონაწილეობით, უნდა წარმოედგინათ «და-ძმა», ვ. გუნიასი. რაკი ესენი ტფილისში დაებარებინათ საუღმარხვო დასში, ამის გამო «და-ძმის» მაგიერ ითამაშეს «კინტო», აკაკისა და «ორი მშიერი». «კინტო»-ში კარგი იყო გ. ჩარკვიანი. არა უშავდა-რა ქ-ნ ურბნელსაც, თუმცა იმის ლაპარაკი უფრო ებრაელისას ჰგავდა, ვინემ კინტოსას. ამ პიესამ, საზოგადოდ, სუსტად ჩაიარა. გვარიანად ითამაშეს «ორი მშიერი». დასასრულ, საზოგადოების თხოვნით, გაიმართა მოკლე დივერტისმენტი.

საზოგადოება ამ წარმოდგენას იმდენი დაესწრო, რომ დარბაზში ტევა არ იყო. ძალიან გულ-ნაკლულნი-კი დაბრუნდნენ სახლში, რადგან «და-ძმა»-ზედ მოვიდნენ და «კინტო»-კი შერჩათ ხელში.

არ იქნა და არა, ერთხელვე ვერ მოეწყო ისე საქმე, რომ თავ-თავიანთი ადგილი დაიჭიროს ყველამ. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ზოგიერთი ვაჟბატონი, თითქო სამიკიტნოშიაო, ისე გაჰყვირის მოქმედების დროს და პიესის მოსმენას არ აცლის საზოგადოებას. საჭიროა, ამასაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ლადო გუბელი.

### „ივერიის“ ფოსტა

**ქუთაისი.** ქ—ტო. თქვენი წერილები ზოგი დაიბეჭდება. ეტიუდი არ დაიბეჭდება. გამოცხადება საჭირო არ არის. მეორე თხოვნას შევასრულებთ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 თებერვალი.

**სტამბოლი.** პორტამ ელჩებისაგან წარდგენილის ნოტის გამო, რომელიც შეეხება მაკედონიაში ჟანდარმერიის მოწყობას, პასუხი შეუთვალა და რამდენიმე წინააღმდეგი აზრი გამოსთქვა, რომლის მიღებაც შეუძლებელია. პორტა ამყარებს თავისს პასუხს, სხვათა შორის, იმაზე, რომ ჟანდარმერია უკვე მოაწყო ბელგიისა და შვეციის აფიცრებმაო. ამ ნოტაზე სახელმწიფოებმა პასუხი გასცეს და იმ აზრს ადგანან, რომ პორტამ უსათუოდ შეასრულოს ის, რაც მოსთხოვეს.

**პარიჟი.** ლუბე დაესწრო საპოლკო საზოგადოებათა კავშირის დღესასწაულს, რომელიც ყოველ წელს იმართება. დღესასწაულის შემდეგ კომიტეტმა რუსეთის საელჩოს გაუგზავნა ადრესი პეტერბურგში გასაგზავნად და სრულსა და გულწრფელს თანაგრძნობას უცხადებს შორეულ აღმოსავლეთის ამბების გამო. ამასთანავე, კომიტეტმა გამოსთქვა თავისი აღტაცება იმის გამო, რომ ბევრნი ემზადებიან თავი შესწირონ მამულს, და უსურვა რუსეთს გამარჯვება.

**ტიანძინი.** («რეიტერის სააგენტო»). რუსეთის რაზმმა დაიჭირა რკინის გზის სადგური სინმინტინი და ყველა დეპეშებს ცენზურას დაუქვემდებარებს.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). რუსეთმა გააგებინა ჩინეთს, რომ მან არ უნდა გაჰგზავნოს თავისი ჯარები ძინჯაჩაოიანის იქით. ამის გამო, უეჭველია, ჩინეთის ჯარები იუნპინში შეჩერდებიან.

**ლონდონი.** («რეიტერის სააგენტო»). «დეილი მაილ»-ის კორესპონდენტი 22 თებერვალს ჩიფუდან დეპეშით იუწყება: «ეს არის, ეხლა დავბრუნდი ცინამპოდან და პენიანიდან, სადაც დიდი მზადებაა იაპონიის ჯარებისათვის, რომლებიც იქ უნდა გადაასხან. ქვეითა ჯარის დიდძალი რაზმები მოვიდა, უმთავრესი ძალა კი, გენერალურის შტაბით, მომავალ კვირას გაჩნდება; მე გავიგონე, რომ სატევი მოძრაობა ჯერ არ დაიწყება, მანამ პენიანში 100 ათასი კაცი არ მოგროვდებაო».

**სეული.** («რეიტერის სააგენტო»). 22 დაჭრილი მეზღვაური რუსეთის კრეისერის «ვარიაგისა», რომელნიც ქსენონში იყვნენ, დღეს ჩემულპოში მოიყვანეს იაპონიის წითელის ჯვრის გემით და აქედგან იაპონიაში გაჰგზავნიან.

24 თებერვალი.

**პეტერბურგი.** დეპეშა მეფის მოადგილის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელზედ მუკდენიდგან გამოგზავნილი 23 თებერვლის თარიღით: «დასამატებლად 22 თებერვლის თარიღით გამოგზავნილის დეპეშისა, უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას, რომ 1 საათსა და 25 წუთს, შუადღის შემდეგ, მტრის შვიდ გემთაგან ხუთმა დაუწყო სროლა სუვოროვისა და ლინევიჩის კოშკებს, ქალაქსა და რეიდს მდინარის გაყოლებაზედ. სროლამ ორ საათნახევარს გასტანა; შემდეგ იაპონიის ესკადრა ნელ-ნელა წავიდა სამხრეთისკენ და ექვსის ნახევარ საათზე მიეფარა თვალიდგან. ბატარეებზედა და სიმაგრეებზედ ზიანი არ მოგვსვლია. ქალაქში ერთი მეზღვაური დაიჭრა და ერთი დედაკაცი მოკლულ იქმნა. თანახმად ეხლა მიღებულის მოხსენებისა, მტრის ესკადრა დღეს, დილის რვა საათზე, ხელახლად გამოჩნდა ციხის პირდაპირ».

დეპეშა მეფის მოადგილის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელზედ მუკდენიდგან გამოგზავნილი 23 თებერვლის თარიღით: «ვლადივოსტოკის ნავთსადგურის უფროსი იუწყება შემდეგს: გუშინდელის ყუმბარების სროლას აგრე რიგად შესამჩნევი ზიანი არ მიუყენებია ნავთსადგურისათვის. მტერს ციხემ პასუხი არ გასცა. დღეს, შუადღის ჟამს,

---

თქმის სულსა ჰლევს. იგი თვის ბრწყინვალე ღვთის-მსახურებით-ღა თუ იტაცებს უბრალო ხალხს. მისი მონასტრები არწივის ბუდესავით კლდის ფრიალოთა ნაპრალებს მისწებებია და ქვეყნიდან განშორებია. განდგომით თითქოს სურთ ცას მისწვდნენ. ეს მონასტრები ოდესღაც მწიგნობრობის ბუდე დღეს უსაქმო და გაუნათლებელ ბერების თავ-შესაფარად გარდაქცეულა...

კორეელის გონებრივ განვითარებას უფრო შეეფერება ძველი ცრუმორწმუნეობა და ბრამინიზმი. ჯერ ისევ ნახევრად ველური წარმოდგენა კორეელისა ბუნებას ასულდგმულებს და მრავალ მავნე ან შემწე სულებით ასახლებს. სოფლის შესავალში და გზებზე მოგზაური ხშირად შეხვდება ამ არსებათა თაყვანისცემის ნიშნებს. აქაც ჰყავთ თავისი «ბატონები» და სხვა... «შეისვრის რა მთის წვეროზე ქვას, ტაშს შემოჰკრავს რომელსამე მთის სულის პატივსაცემლად; მერე მიდის, რომ პატარა ფიცრებზე ანუსხულ წინაპართ ჯამით ბრინჯი დაუდგას და სანთელი დაუნთოს და იქიდგან კიდევ მონასტერში მიემგზავრება რომელისამე წმინდანის პატივსაცემლად ღამე ათიოს, დრო გაატაროს და ილხინოს».

ამგვარად, ეს სამივე სარწმუნოება ქრისტეანობასთან ერთად მშვიდობიანად რიგდება კორეაში, რაიცა ნათლად ამტკიცებს მცხოვრებთა გულ-გრილობას სარწმუნოებისადმი. ეს გულ-გრილობა ნიშნობლივი თვისებაა აღმოსავლეთ ერთა და, თუ იგი ჩინეთში თავისებურის კულტურით აიხსნება, კორეასა და ძველს იაპონიაში უკულტურობას უნდა მივაწეროთ...

სახელმწიფოს მართვა-გამგეობაშიაც კორეის მთავრობა სცდილობდა ჩინეთისთვის მიებაძა, თუმცა ვერ შესძლო. დღევანდლამდე კორეა მრავალ საბატონოებად დაყოფილს ფეოდალურს სახელმწიფოს წარმოადგენდა. ასეთს წეს-წყობილებას ხელს უწყობდა ეკონომიურად უკან ჩამორჩენა, ბუნება და მტერთან ბრძოლა. თუ ჩინეთში ყველა თანასწორია და სხვა-და-სხვა წოდება არ არსებობს, კორეაში თავად-აზნაურობა ყველაფერს ჰნიშნავს და ქვეყნის ნამდვილი ბატონია. ჩინეთის დიდებული წესი, რომლითაც განათლებას ფართო სარბიელი ეძლევა და მისის შემწეობით კაცს შეუძლიან უმაღლეს საფეხურს მიაღწიოს სამსახურში, კორეაში მივიწყებულია. სახელმწიფო მართვა-გამგეობა აზნაურობის ხელშია და თვით იმპერატორის უფლება ამ წოდების წინაშე ბევრს არასა ჰნიშნავს. აქაც, როგორც ჩინეთში, სახელმწიფო მოხელეებს ჯამაგირი არ ეძლევათ და პირდაპირ ხალხის შემოსავალით სცხოვრობენ. ასეთი წესი, რასაკვირველია, დიდად ხელს უწყობს ძარცვა-გლეჯას და უკანონობას. ვინც მეტს მისცემს, სიმართლის სასწორიც მისკენ დასძლევს. ასეთი უწესოება უფრო მეტად აღარიბებს ისედაც ღარიბს კორეელებს და ჰკლავს მათში ყოველს კულტურას. მოგზაურთა სიტყვით, ძვირად შეხვდებით ბუნებით ისე მდიდარს მხარეს და ისრე ღარიბ მცხოვრებთ, როგორც კორეაში. ბატონ-ყმობა და თვით მონობაც-კი აქ ჯერ ისევ არსებობს; გაჭირვებული ცხოვრება აქაც ხშირი მიზეზია ამ საზიზღარის მოვლენისა. მშობლები არა-იშვიათად იძულებულნი არიან შვილი გაჰყიდონ, რომ შიმშილს თავი დააღწიონ. კორეელთა ცხოვრება და და ზნე-ჩვეულებანი ნათლად ჰმოწმობს, რომ ეს მხარე უკიდურეს სიღარიბეშია. ბუნებრივი სიმდიდრე დიდია, მაგრამ რადგანაც იგი დღეს კიდევ დაუმუშავებელია, ამიტომ ცხოვრების გაუმჯობესება მხოლოდ მომავალშია მოსალოდნელი. კორეელთა ჩაცმა-დახურვაც ჰმოწმობს მათს სიღარიბეს. იგინი ჰქსოვენ მხოლოდ ჯვალო ტილოს და მით იმოსებიან. ბამბეულობის ქსოვა არ იციან და ამიტომ ტანთ-სამოსლადაც იშვიათად ხმარობენ. აბრეშუმი, რომლითაც შეძლებულები ირთობიან, ჩინეთიდგან შემოაქვთ. თავზე ჰხურავთ უბრალო ჩალისა ან ძუის ქუდები, რომელთაც შიგ კორეაში ნაკლებად ჰქსოვენ. ტანსაცმელად სულ თეთრს ფერს ხმარობენ. კორეელის სახლი უბრალო ტალახით შეთუთხნულს ოდას წარმოადგენს და ზემოდგან კიდევ ჩალით არის დახურული. ნამეტნავი ტიპიური დამახასიათებელია კორეის სიღარიბისა მეფის სასახლე და მისი მოწყობილება. უნდა ვსთქვათ, რომ კორეის სატახტო ქალაქი სეული ერთობ ღარიბია და არაფერი ღირსშესანიშნავი იქ არ მოიპოვება. მეფის უმთავრესი სასახლე არც გარედგან და არც შიგნიდგან არაფერს სიმდიდრეს არ წარმოადგენს, მაღალის კედლით შემოვლებულია პატარა და ნახევრად ბნელ ოთახებისაგან შესდგება, რომელთა კედლებიც ქაღალდისაა, იატაკი ქაღალდითვე დაფენილია და შიგ კიდევ სულ უბრალო მოწყობილობაა. სამეფო ტახტი უბრალოდ გამოჭრილის ხისაა; ფარჩის და ატლასის მაგიერობას აქ ქაღალდი ასრულებს, აფერადებულის ფიქალისას კიდევ—შეღებილი ფიცარი, ოქრო და სხვა ძვირფასეულობა იქ იშვიათია.

კორეის კულტურა ბევრად მოგვაგონებს პირველ-ყოფილ ადამიანის კულტურას. დღევანდლამდე კორეელებს არ ჰქონიათ ქარის ან წყლის წისქვილები, ხორბალს ხელით ან საქონლის შემწეობით ჰფქვავენ. ურმის ხმარება შიგნით მხარეში აქამომდე ჩვეულებად არა აქვთ. ცხენებსა და სხვა საქონელს ძალიან მცირედს ინახავენ და ბარგს ხშირად შორს მანძილზედაც-კი ზურგით ეზიდებიან. ამ ბარგის მზიდავთაგან მთელი კლასიც-კი შესდგა, რომელთა შორის სოლიდარობა დიდადაა განვითარებული. შუშისა და ნავთის ხმარება მხოლოდ ეხლახანს დაიწყეს უცხოელების წყალობით.

თუ ქრისტეანობის პირველ საუკუნეებში კორეელები იაპონელების მასწავლებლად ითვლებოდნენ წარმოებაში, დღეს მასწავლებლები მოსწავლეთ დიდად ჩამორჩნენ და მათი შედარება არც-კი შეიძლება. სავაჭრო საქონელს უბრალოდ და შინ ოჯახებში ამზადებენ. მათ ნატურალურს წარმოებაში დღეს აღსანიშნავი ქაღალდის მომზადება თუ არის, რომელიც აზიის ბაზარზე ძვირად ფასობს. ჩინელებისგანვე შეისწავლეს კორეელებმა მიწის დამუშავება, რომელიც ზოგიერთ ადგილებში უმაღლეს ხარისხამდე ადის.

რაც შეეხება ვაჭრობა-აღებმიცემობის განვითარებას, ამას კარგად ახასიათებს ის, რომ კორეა დღევანდლამდე სპილენძის ფულს ხმარობს დიდ ნაჭრებად გამოჭრილს და, მაგალ., ასის მანეთის საზიდად მთელი ორი ცხენია საჭირო. რასაკვირველია, ასეთი მოუმზადებლობა დიდად აბრკოლებს დღესაც ვაჭრობას...

კულტურული უკან ჩამორჩენა კორეისა მისს კანონმდებლობაშიაც გამოიხატება. აქამომდე კორეაში კანონთა კრებულიც-კი არ არსებობს, რაიცა დიდად ხელს უწყობს მოხელეთა თვით-ნებობას. ახლო წარსულში და დღესაც რამდენადმე საშინელი სისასტიკე სუფევდა კანონდებულებაში. დამნაშავეს ძვლებს ამტვრევდნენ, ადუღებულ ზეთში ჰხარშავდნენ; ქმრის მკვლელს შარა გზაზედ ჰმარხავდნენ მხრებამდე და ყოველ გამვლელ-გამომვლელს ნება ჰქონდა დაეჭრა რითიმე. ქურდს ძალით პირში ძმარს ასხამდნენ და შემდეგ ჯოხებით სცემდნენ იქამდე, სანამ უბედური შუაზე არ გასკდებოდა და სხვა.

განათლების საქმეც კორეაში სრულიად შეესაბამება მისს საერთო ცხოვრებას: სკოლები მარტო სეულშია (დედაქალაქში) და ისიც უცხოელების წყალობით არის დაარსებული. იქ კორეელები მხოლოდ დაბალს განათლებას იღებენ და უმთავრესად თარჯიმნებად გამოდიან. თეატრს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებსა და სხვა რაიმე გონების საზრდოს თვით სატახტო ქალაქშიც-კი ვერ იპოვით. თუ ჩინელი მოწიწებით ეპყრობა ყოველს დაწერილს ქაღალდს და უვარგისს იმავე მოწიწებით ცალკე აღაგასა სწვავს, კორეაში წიგნებს მხოლოდ ჰურჭლისა და საწვრილმანო დუქნებში ჰყიდიან. ევროპიელთა შემოსვლამ ჯერ ვერაფერი შესძინა ახალი კორეას; პირიქით, სხვა-და-სხვა ახალ თანამდებობათა დაწესებით მთავრობას ხარჯი მოემატა. ერთად-ერთი რეფორმა—ჯარის გაუმჯობესებაა. ძველად ჯარის მოწყობაშიაც კორეა ჩინეთს ჰბაძავდა. სამხედრო წოდება კორეაში მოქალაქეებზე დაბლა იდგა; სახელმწიფო პირველთ-კი არა, მეორეთ ებარათ და ამიტომ ჯარის რიგიანობაზე ძალიან ცოტას ჰფიქრობდნენ. დღევანდლამდე ჯარი ცუდად შეიარაღებულს, უბრალო ბრბოს წარმოადგენდა და მხოლოდ ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ, რომელმაც ევროპიულად გაწრთვნილ და შეიარაღებულ ჯარის უპირატესობა დაამტკიცა, კორეის მთავრობამ ყურადღება მიაქცია თავისს ჯარს და დღეს ჯარს ევროპიულად წრთვნიან და ბერდანის თოფებს ურიგებენ...

მტერი შევიდა უსურიის ყურეში, მივიდა იმ ადგილთან, საიდანაც გუშინ ესროდნენ ყუმბარებს ნავთსადგურს, და მერე უკან დაბრუნდა. 22 და 23 თებერვალს გამოგზავნილის დეპეშების დასამატებლად უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას ზემოხსენებულს».

24 თებერვალი.

**პეტერბურგი**. ჰოლოლსკის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ჩოლქიანს ებრძანა ასრულება სედლეცის გუბერნატორის თანამდებობისა.

**ლონდონი**. («რეიტერის სააგენტო»). საზოგადოებათა პალატა. სტატს-სეკრეტარის თანიშემწე პერსის შეეკითხნენ და მან სთქვა პასუხად, რომ ინგლისის ელჩმა პეკინში მტკიცედ მოითხოვა, ტიან-ძინის გაზეთ «ჩაინ ტაიმსის» გამომცემლის გასამართლება შეიძლება მხოლოდ ინგლისელთა ტიან-ძინის საკონსულოს სასამართლოშიო. გაზეთის პატრონს ბრალად ედება, რომ ჰბეჭდავს და ავრცელებს რუსეთის საწინააღმდეგო და სალანძღავ წერილებსაო. ელჩმა მოითხოვა თავისი და გაიტანა კიდეცაო. მთავრობამ მოიწონა დიდის ბრიტანიის ელჩის საქციელი.

**ვენა**. ჩეხიის საპარლამენტო კლუბმა გადისწყვიტა, გამოვუცხადოთ რუსეთის ერს, რომელიც ებრძვის გაავთრებულს მტერს, გულ-წრფელი თანაგრძნობა და ვუსურვოთ სრული გამარჯვება რუსეთის თოფ-იარაღს რუსეთისა და სრულიად სლავიანობის სასიკეთოდაო.

**ადენი**. («რეიტერის სააგენტო») საპოლიტიკო აგენტის თანაშემწე კაპიტანი ვარნფორდი მოჰკლეს არაბებმა.

**პარიჟი**. პალატას მსჯელობა ჰქონდა, სწავლების უფლება ჰქონდეთ თუ არა კონგრეგაციის წევრთაო. კომბმა სთქვა, კონგრეგაციები და დღევანდელი საზოგადოება ერთად ვერ მოთავსდებიანო. მოიშორეთ კონგრეგაციები და მოისპობა უმთავრესი მიზეზი მრავალ-გვარის ინტრიგისაო. კანონ-პროექტი თხოულობს 67 მილიონ ფრანკის გადადებას ახალის სკოლების დასაარსებლად.

**პარიჟი**. საკასაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა განმხილველი პალატა შეუდგა დრეიფუსის პროცესის გარჩევას სამხედრო მინისტრმა ანდრემ მოითხოვა ეს გარჩევა. ჩვენების ჩამორთმევა ხალხის დაუსწრებლად სწარმოებს.

**ლონდონი**, («რეიტერის სააგენტო») საზოგადოებათა პალატა. სამხედრო მინისტრმა სთქვა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა შემოღებულ იქმნას ახალის ყალიბის მძიმე ზარბაზნებიო, რომელიც, უეჭველია, ევროპის ყველა სხვა ყალიბის ზარბაზნებზე უკეთესია (ისმის ხმა მოწონებისა). იმედი მაქვსო,—განაგრძო მინისტრმა,—რომ მერმის შესაძლო იქმნება შევიძინოთ 108 მძიმე და 18 სუბუქი ზარბაზანი ინდოეთში გასაგზავნად. ინდოეთია ის ერთად-ერთი ქვეყანა, სადაც შესაძლოა მოგვიხდეს ბრძოლა დიდ, ევროპიულად გაწვრთნილ მხედრობასთანაო. ამას გარდა, მთავრობა ჰზრუნავს, რომ დაამზადოს ახალის მოწყობილობის თოფ-იარაღი. ამ თოფ-იარღის უმეტესი ნაწილიც ინდოეთს უნდა გაიგზავნოს.

**ბლაგოვეშჩენსკი**. იმას გარდა, რომ ღონისძიება იქმნა მიღებულ, რათა ფასმა არ აიწიოს უსაჭიროეს ხორაგზე ქალაქში, აქაური ადმინისტრაცია სცდილობს, მთელ ოლქს საკმაოდ ჰქონდეს შემდეგშიაც საზრდო. ცალკე კომისია იქმნა ამისათვის შემდგარი.—რაც იაპონელები დარჩნენ აქ, ამ დღეებში ჰგზავნიან სრეტენსკს.—ოფიცერთა ცოლებმა შეადგინეს კომიტეტი, რომ დაამზადონ და უგზავნონ საცვალი მდაბიო ჯარის-კაცთ. ვაჭრებმა შესწირეს საკმაო ფული ტილოსა და სხვა მასალის სასყიდლად.

**ნიუ-იორკი**. («რეიტერის სააგენტო»). როგორც ტოკიოდან მოსული დეპეშაც ამბობს, აქა ჰგონებენ, რომ რუსთა ესკადრა ვლადივოსტოკისა იმყოფება ამ ჟამად ტუმენის მახლობლად და აზრადა აქვს დაიფაროს რუსეთის ჯარი, რომელიც მოდის პოსიეტის ყურედან ტუმენის მდინარის ხეობამდეო. იუწყებინ, რომ რუსეთის მზვერავმა რაზმებმა წინ წაიწიეს სამხრეთად ასე ნიანსიომდე. რუსთა გამოჩენა კორეის ჩრდილო-აღმოსავლეთად წინად სამხედრო ფანდად მიაჩნდათ, ქამანდი ეგონათ, ხოლო ამ ჟამად აღმოჩნდა, რომ ამ ოპერაციებში დიდი ჯარი იღებს მონაწილეობას. ჰგონებენ, რომ რუსებს ფიქრადა აქვთ კარგი ადგილები დაიჭირონ ტუმენს ახლო და გამაგრდნენ იქა.

**ტიან-ძინი**. («რეიტერის სააგენტო»). ის ამბავი, რომ ვითომ რუსებმა დაიჭირეს სინმინტინის რკინის გზა და ტელეგრაფის კანტორა, მართალი არ არის.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

---

აი, ასეთია კორეის ეკონომიური და კულტურული უკან ჩამორჩენა და ამ უკან ჩამორჩენით აიხსნება მის მცხოვრებთა სიზარმაცე, უსისოცხლობა და უნიჭობა' რომელიც პირველ გაცნობისათანავე თვალში ეცემა კაცს. კორეის უკულტურობით, მის სულიერ სიღარიბითა და ბუნებრივ სიმდიდრით უნდა ესარგებლნა, რასაკვირველია, მეზობელ გაევროპიელებულს იაპონიას.

ყრმა გმირს თავისი პატარა სამშობლო არა ჰყოფნის. იგი საუკუნოებით-კი არა, წლობით იზრდება, და რატომ არ ისარგებლებს მეზობელთა უსაქმობით, როდესაც იაპონია მთელის ნერვებით სცხოვრებს, მთელს აღმოსავლეთ აზიას სძინავს და ეს არის იაპონიის ხელის შემწყობი გარემოება. ბურთი და მოედანი იაპონიას რჩება. ჩინეთის ყველაფერში წამბაძველს კორეას სურდა ქვეყანას მოწყვეტილიყო და შინ არავინ შეეშვა, მაგრამ ახალგაზრდა იაპონიამ მისი ძველი კარები შეამტვრია და, ძველად სამხედრო სარბიელი, ეკონომიურ სათარეშო ასპარეზად გაიხ და. დღეს კორეაში იაპონელთა რიცხვი რამდენსამე ათასს აღემატება და კორეის ვაჭრობა და საუკეთესო ადგილ მამული მომეტებულად მათ ხელშია. იაპონიის მთავრობას ეკუთვნის რკინის გზა, უმთავრესი ლიანდაგი, გაჰყავს მეორე და სხვების გაყვანის ნებასაც თხოულობს. ფოსტა-ტელეგრაფიც მისია. ამერიკის დახმარებით, იაპონიამ ძალით გააღებინა სეულის მთავრობას რამდენიმე ნავთ-სადგური და სხვების გაღებასაც სცდილობს. გასაკვირია, რომ იაპონელები ბოროტად ჰხმარობენ თავიანთს ძალას და მთავრობასაც და ხალხსაც ავიწროებენ და ზოგჯერ ჰყვლეფავენ, რის გამოც კორეელთა შორის სიმპატია ვერ მოიპოვეს და მთავრობა კიდევ დღეს რუსეთისკენ იცქირება. დიდი შეცდომა მოუვიდა იაპონიას, რომ კორეა დროით ვერ ჩაიგდო ხელში და დღეს, როდესაც ამ ნახევარ-კუნძულით დიდი რუსეთიც დაინტერესდა, ლამის ეს სიცოცხლედ დაუჯდეს. კორეის გეოგრაფიულ მდებარეობის გამო, რუსეთსა და იაპონიას შორის იგივე ისტორია მეორდება, რაც ჩინეთს და იაპონიას შორის ხდებოდა. თუ კორეა იაპონიისათვის საჭიროა ეკონომიურად, რუსეთისათვის მას უფრო სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. კორეა თავის მშვენიერ ნავთ-სადგურებით რუსეთისთვის დიდად ხელ-საყრელია. დიდის ციმბირის ლიანდაგს რიგიანი გასასვლელი არა აქვს დიდს ოკეანეში. საუკეთესო ნავთ-სადგური, ვლადივოსტოკი, ზამთრობით კარგა მანძილზე იყინება. კორეის ნავთ-სადგურები კი ამ მხრივ შეუდარებელი არის. რუსეთმა რომ კორეა როდისმე ხელთ იგდოს, ციმბირის ლიანდაგს მისს ნავთ-სადგურებამდე მიიყვანს და დიდს ოკეანეზე ადვილად იყოლიებს საჭირო ფლოტს. ამგვარად დარჩება სრული უპირატესობა შორეულ-აღმოსავლეთის პოლიტიკაში და მისი საზღვრებიც ოკეანეთი შემოისაზღვრება. ამას რუსეთი ჯერჯერობით, რასაკვირველია, ჰმალავს. მისთვის დღეს საკმარისია, რომ ეს ნახევარ-კუნძული იაპონიამ პოლიტიკურად არ იგდოს ხელთ. იაპონიამ რომ კორეა ხელთ იგდოს, არამც თუ ზემო მოყვანილი გეგმა გაუცრუვდება, არამედ რუსეთის საზღვაო ძალა პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკს შორის ორად გაიყოფა. ამასთანავე, კორეის დაჭერით იაპონია აღმოსავლეთ ნაპირების ბატონი შეიქმნება დიდს ოკეანეზე და, როგორიც სურს, ისეთს პირობას დაუდებს შემდეგში აქ რუსეთს. ეს ნაპირები-კი სათევზაოდ არის და იქ კამჩატკა და სახალინიც თავის დამუშავებას ელის.

ამგვარად, კორეის გამო ცილაობამ იაპონიას ჩინეთთან ომი შეამთხვია 1894—95 წწ. და დღეს კიდევ ლამის რუსეთს შეაჯახოს. ვნახოთ, რას მოიტანს მომავალი და რითი გათავდება ეს საშინელი შებრძოლება.

სტ. ვ. ლიაძე.

---

**პეტერბურგის ბირჟა**
20 თებერვალი 1904 წ.
ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,75 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 6,7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 90½ ნის. გაყ |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 346½ ნის. გაყ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 301 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 240 წვრ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

---

**რკინის გზის მიმოსვლა.**
15 ოკდომბრიდან 1903 წ.
(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს**: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს**: 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს**: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2 საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ**: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ**: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ**: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.
**ტფილის-ბაქოსაკენ**: ღამის 3 ს. 58 წ3

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ**: 1) დილის 6 ს. 58 წ 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ**: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

---

# განცხადებანი


ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!
**ჰიგიენური**
ბორნო-ტიმოლის საპონი
პროვიზორის
**გ. ფ. იურგენსისა.**
აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ. ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.
**ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.
ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში**. (24—1)

---

ქ უ თ ა ი ს შ ი
**ს. ზ. თოფურიას**
# სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:
# ქაჯანა

---

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი
# წიგნის მაღაზია „ცოდნა-“ს
გ ა მ ო ც ე მ ა.

| | |
|---|---|
| **გრიგოლ ორბელიანის ლექსები** სურათით | 20 კ. |
| **წმინდა გიორგის რაზმი** | 5 „ |
| **სამეგრელოს სერო სკოლები** ლოლუას | 5 „ |
| ჩვენი გამოცემანი. | |
| **სიმღერა** აკაკისა | 15 „ |
| **თამარ მეფე** | 5 „ |
| **ვაჭრული ჭკუა** | 5 „ |
| **დათუნა გოცირიძე** და **როსტომ ერისთავი** ძველებური ამბავი აკაკისა | 5 „ |
| **პატარა ჩონგური** ლექსები (დედა-ენა) | 5 „ |
| **ოქროა** (ხალხური ზღაპარი) | 5 „ |
| **ორი ქოსატყუილა** / **ბიჭია მენახვირე** / **მეფე და სკვინჩა** — ხალხური ზღაპარი | 10 „ |
| **აბრამის და იობის ლექსი** | 3 „ |
| **სურათი თამარ მეფისა** | 5 „ |
| **კულტურა** ლიპერტისა | 50 „ |
| **ლექსიკონი** რუსულ ქართული მინერალოგ. ასტრონომ. ზოოლოგ. და ტეხნიკ. სიტყვებისა. კ. ყიფიანისა | 50 „ |

აქვე ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები
ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას არა ნაკლებ **ორი მანეთისა** დაუყონებლივ გაეგზავნება ფას-დადებით.
ადრესი ფოსტ.: Тифлисъ. книжный магазинъ «ЦОДНА»
მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე**. 10—8

---

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა
# „ნ ა დ ე ჟ დ ა“
ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.
## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **მარითადი თანხა** | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს. პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—17)

---

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი
# — სტამბა —
ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;
იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.
სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.
ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი ა.

---

მიიღება ხელის-მოწერ. 1904 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს
# „მ წ ყ ე მ ს“-ზე
და
რუსულ „П А С Т Ы Р Ь“-ზე
XIX
ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ | 3 მ. | ორივე გამოცემა | 5 მ. |
| სამკურნალო ფურცლის დამატებით | 4 მ. | 6 თვით „მწყემსი“ | 2 მ. |
| რუსული | 3 მ. | რუსული | 2 მ. |
| | | ორივე გამოცემა | 3 მ. |

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ლომბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში—ბლაღოჩინ ჰამა არ. კალანდარაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად**.

რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.**

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.


Дозволено цензурою Тифлисъ, 24 февраля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ арм. домъ, семинарія.